

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

აკაკი ჩხენკელის მოგონება ვარლამ ჩერქეზიშვილის შესახებ

ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) ის ცნობილი ქართველი მოღვაწეა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, ყველა თეორიასა და პრაქტიკულ საქმეში მისი ბედნიერების ფორმულას ეძებდა, სურდა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ის დიდი საგანძური, რასაც თავად მუდამ გულით ატარებდა. ამ განცდამ მიიყვანა ჯერ კიდევ ჭაბუკი ანარქიზმის იდეოლოგიასთან.

ანარქისტული იდეოლოგია ენინაალმდეგება მმართველობის ყველა ფორმას და საშუალებას. ანარქისტები უარყოფენ სახელმწიფოს, პოლიტიკური ხელისუფლების ან რაიმე სხვა იერარქიული მმართველობის არსებობის საჭიროებას და მიისწრაფვიან მათი აღმოფხვრისკენ. ანარქიზმს საფუძველი ჩაეყარა უილიამ გოდვინის (1756-1836) ნაწერებში. ის პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი იყო, მიატოვა ეკლესია და მწერალი გახდა, დაწერა „კალებ უილიამსი“, სადაც ანარქისტული იდეოლოგია გადმოსცა, შექმნა ინტელექტუალთა წრე, რომელშიც შედიოდნენ მისი მეუღლე მერი უოლსთოუნქრაფტი, ახალგაზრდა მწერლები – უილიამ უორდსუორთი, მისი სიძე – შელი. ისინი აკრიტიკებდნენ ავტორიტარიზმს, ამტკიცებდნენ განათლების აუცილებლობას ადამიანისათვის, მიაჩნდათ, რომ თანადგომა ადამიანის ჭეშმარიტი, თანდაყოლილი თვისებაა [1, 116-122; 2].

სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ამ იდეოლოგიას მიემხრნენ ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ედგნენ სათავეში და ეროვნული თვითგადარჩენისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდნენ. ასეთი გამორჩეული პოლიტიკოსები იყვნენ მიხაკო წერეთელი და ვარლამ ჩერქეზიშვილი, – ქართველი ანარქისტების ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლები, მათთან ერთად, ანარქისტულ პარტიაში შედიოდნენ: შალვა და კომანდო გოგელიები და სხვები.

ეს იდეოლოგია ქართველი ანარქისტებისთვის, პირველ რიგში კი ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის, იქცა იმ საბრძოლო იარაღად, რაც კოლონიური ქვეყნის პატრიოტ შვილს შეეძლო მიემართა რუსეთის მძლავრი სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ, ეოცნება თავისუფალ საქართველოზე და ებრძოლა მისი მჩაგვრელი ქვეყნის დანგრევისათვის [3, 196-197].

ეროვნული ინტერესის პრიმატით ქართველ ანარქისტთა იდეური მიზანდასახულება სრულიად განსხვავდებოდა არა მარტო ევროპელი, არამედ იმ რუსი ანარქისტების აზროვნებისაგან, რომლებთანაც ისინი ათწლეულების მანძილზე მეგობრობდნენ [4]. მაგალითად, ვარლამ ჩერქეზიშვილის მეგობარს, რუს ანარქისტს – პეტრე კროპოტკინს (1842-1921), რომელიც ემიგრაციის პერიოდში ხშირად მასთან ერთად გამოდიოდა ევროპული საზოგადოების წინაშე, არ შეიძლებოდა ჩერქეზიშვილთან თანხმობა ჰქონოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხში, რისთვისაც სულ იბრძოდა ეს ქართველი პატრიოტი.

თუ რა ეტაპები გაიარა ჩერქეზიშვილმა ცხოვრებაში ამ ოცნების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე, კარგად ჩანს აკაკი ჩხენკელის ქვემოთ მოტანილ მოგონებაში. აქ ჩანს, თუ რა მჭიდროდ იყო გადანასკვეული ჩერქეზიშვილი ქართულ ეროვნულ ფესვებთან, როგორ არასდროს მოწყვეტია ამ ფესვებს, როგორ არ დაშორებულა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას. მიუხედავად სამშობლოსთან ხანგრძლივი განშორებისა, ის მისით ცოცხლობდა და ხარობდა. გამოჩენილი ქართველი მწერლის – გრიგოლ რობაქიძის სიტყვები შთამბეჭდავად გამოხატავს ვარლამ ჩერქეზიშვილის ეროვნულ სულსა და დიდ მამულიშვილურ განცდებს, რასაც ის ანარქისტული იდეოლოგიის გამარჯვებასთან აკავშირებდა: „თუ მოიძლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ, – ანარქიზმის მიზანი ესაა – მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუტივით თავს აწვა საქართველოს, დაემხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით და როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქავდა. აი, ქვეშეცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკური ბრძოლისა“, – წერდა გრიგოლ რობაქიძე.

რაც შეეხება ჩერქეზიშვილის შემოქმედებას და ევროპულ მოაზროვნე წრეებში მოპოვებულ პოპულარობას, ამას განაპირობებდა დიდი სითამამე, მის მიერ ავტორიტეტების გაბედული კრიტიკა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გააკრიტიკა მარქსიზმი, მისი მიმდევრები და თავად მარქსი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ევროპაში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, ქართველი ანარქისტი ვარლამ

ჩერქეზიშვილი ბრალს სდებდა მარქსიზმის ფუძემდებლებს და მათ მიმდევრებს – პლაგიატში, დასავლელი მოაზროვნეების ნააზრევის მითვისებაში. რაც მთავარია, ამისთვის მას მოჰქონდა სათანადო არგუმენტები და მტკიცებულებანი.

1905 წელს მისი დახმარებით ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა ევროპიდან, ჰოლანდიელი ანარქისტებისგან, მიიღეს იარაღის დიდი პარტია, ხოლო ეკიპაჟს მეთაურობდა მისივე მეგობარი, ცნობილი ჰოლანდიელი ანარქისტი ქრისტიან კორნელისი. 1907 წელს, კორნელისის დიდი ძალისხმევით, ჩერქეზიშვილმა, სხვა ქართველ პოლიტიკოსებთან ერთად, წარუდგინა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებული იყო „საქართველოს ხალხის კანონიერი უფლება – აღედგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა“. 1910 წელს ჩერქეზიშვილი მონაწილეობდა ლონდონში გამართულ „მსოფლიო ჩაგრულ-დაპყრობილ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე“ და იცავდა საქართველოს უფლებებს. კონფერენციის მდივანი იყო მისი მეუღლე – ფრიდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური წერილები ხშირად იბეჭდებოდა როგორც ქართულ, ისე ევროპულ პრესაში; მრავალ ენაზე ითარგმნებოდა მისი ნაშრომები და წიგნები. 2011 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინიციატივით დაიწყო ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებათა გამოცემა, თხზულებების პირველ ტომში გამოქვეყნდა გაზეთებში, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ ვ. ჩერქეზიშვილის მიერ 1893-1904 წლებში დაბეჭდილი წერილები. ტომის შემდგენელი და რედაქტორი, ისტორიკოსი, პროფესორი დიმიტრი შველიძე, ასევე შეეხო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამსახურებას სპეციალური ნარკვევებით – „მარქსიზმის კრიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომებში“ და „აი, ვინ იყო, ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი“ [5; 6].

აკაკი ჩხენკელის პირად არქივში დაცული დოკუმენტის დაბეჭდვა გადაგვანყვეტინა იმ რამდენიმე პასაჟმა, თუნდაც მცირე სიახლემ, რაც ვარლამ ჩერქეზიშვილის ნააზრევით დაინტერესებულ სპეციალისტებს უსათუოდ გამოადგებათ.

საარქივო დოკუმენტი ავტოგრაფია, დაწერილია შავი მელნით. ეს სიტყვა წარმოუთქვამს აკაკი ჩხენკელს 1925 წლის 27 სექტემბერს, ვარლამ ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო შეკრებილი პარიზის ქართული საზოგადოების წინაშე. შემდეგ იგი „გუშაგში“ დასაბეჭდად გაუმზადებია და ბევრი რამ ამოუკლია, რასაც მონობს წითელი ფანქრით გადაშლილი ადგილები. ჩვენ დოკუმენტი

სრულად, პირველი ვარიანტით მოვიტანეთ. ტექსტის ეს ვერსია ემიგრანტულ პრესაში ამ სახით არასდროს გამოქვეყნებულა;

რუს ემიგრანტთა შეკრებაზე კოპოტკინსა და ჩერქეზიშვილს (რომელთა ფიზიკური აღწერაც ასევე საინტერესოა) უფრო დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე ისეთ სკანდალურ პიროვნებას, როგორიც იყო კრებაზე დამსწრე ნაროდნიკი კარპოვიჩი, რუსეთიდან გამოქცეული ცნობილი მკვლელი;

ვარლამ ჩერქეზიშვილის მეუღლე – ფრიდა – ყველგან (ვიკიპედისა თუ სამეცნიერო კვლევებში) ფრანგად არის მოხსენიებული, ის კი ჰოლანდიელი იყო, ამ ოჯახთან ასე ახლოს მყოფი ჩხენკელი არ შეიძლება ცდებოდეს (ჰოლანდიელები ეხმარებოდნენ ვარლამ ჩერქეზიშვილს საქართველოში 1905 წელს იარაღის ჩამოტანაში, ჰააგის კონფერენციისთვის მემორანდუმის გადაცემაში და დასხვა.) ქრისტიან კორნელისონი, ჰოლანდიელი ანარქისტი და ჩერქეზიშვილის მეგობარი, რომელმაც 1905 წელს, საქართველოში იარაღის ჩამოსატანად ჰოლანდიური გემი შეაძენინა იაპონელთა დახმარებით, იყო მისი მეუღლის ნათესავი. ჩხენკელის მოგონება ამ ქალს ღირსეულ მეუღლედ, ქართული საქმისთვის გულშემატკივარ, მზრუნველ და თბილ ადამიანად წარმოგვიდგენს;

მოგონებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ვარლამ ჩერქეზიშვილს საარსებო ფულს უგზავნიდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება;

ვარლამს უამრავი მეგობარი ჰყავდა ევროპაში, მათ შორის იყვნენ უორდროპები, რომლებმაც მისი სამუშალებით შეიყვარეს საქართველო. ჩერქეზიშვილი, ჩხენკელთან ერთად, ესწრებოდა 1910 წელს სევენკოში მარჯორის დაკრძალვას, მან მიიტანა გვირგვინი ქართველი ერის სახელით, რომელიც, მარჯორის ანდერძის მიხედვით, მიცვალებულს თან ჩააყოლეს;

საინტერესოა ჰააგის კონფერენციაზე წარსადგენი დოკუმენტის მომზადების ისტორია და ჩერქეზიშვილის როლის ჩვენება ამ საქმეში. „ის მომითხრობდა, რა დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდათ მას და მის მეგობრებს, მეფის რეჟიმის დროს, რამდენსამე ათას ქართველის ხელმოწერის შეგროვება სამშობლოში და მისი იქიდან არალეგალურათ გადმოტანა უცხოეთში. ის დასძენდა, რომ მათ არ წარუდგენიათ ხელმოწერთა ვინაობა კონფერენციისათვის, იყო მხოლოდ ნათქვამი თვით პეტციციის ქვეშ, რომ სია ინახება სანდო ადგილას და წარდგენილი იქნება იმ პირობით, თუ მეფის ჟანდარმები ჯავრს არ იყრიან ხელმოწერებზე“;

ჩერქეზიშვილს მიაჩნდა, რომ ქართველთა ისტორიული უფლება

დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე (თუნდაც ავტონომიაზე რუსეთის იმპერიაში) გეორგიევსკის ტრაქტატის მოშველიებით უფრო ხელსაყრელი და გასაგები იქნებოდა უცხოელებისათვის. „ადვილათ წარმოსადგენია, რამდენათ აუცილებელი იყო ვარლამისათვის ტრაქტატის მომარჯვება მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა არამცთუ დამოუკიდებელი არსებობა, თვით სიტყვა საქართველოს კონვერტზე წარწერაც აღკვეთილი იყო!“ – ამბობდა ჩხენკელი;

მოგონებაში რამდენიმე მაგალითია მოტანილი, სადაც ჩანს ჩერქეზიშვილის მისწრაფება – პრაქტიკულად დახმარებოდა ქართველ ხალხს: პოპულარიზაცია გაეკეთებინა ერის უძველესი ისტორიულ-კულტურული წარსულისათვის (ხეთოლოგებს მეგრულ ენასთან და ფრაზების ქართული ენის კონსტრუქციასთან მსგავსებაზე მიუთითებდა), ცდილობდა, ქართული შინამრეწველობის ნიმუშების ევროპაში გატანისთვის ხელშეწყობას, ინგლისელებს უმტკიცებდა, რომ ევროპაში აღიარებულ საჯაგრისე ჯაგარს, მხოლოდ საქართველოში შეისყიდდნენ, რადგან კავკასიაში მხოლოდ ქართველი ქრისტიანები მისდევდნენ მელორეობას;

საარქივო დოკუმენტში საუბარია ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის შრომებზე, ევროპის პრესასთან მის თანამშრომლობასა და საქართველოს თემის პოპულარიზაციაზე, დამოუკიდებელ საქართველოში მის ჩამოსვლასა და 1921 წლის თებერვალში რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან ბრძოლაში მხცოვანი პატრიოტის ჩაბმასა და სხვა დეტალებზე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან წასვლის შემდეგ მას მხოლოდ ერთი თვე უცხოვრია პარიზში და მეუღლესთან ერთად კვლავ ლონდონში დაბრუნებულა. სწორედ ამ დროს მას უმკაცრესი წერილი მიუწერია ჩიჩერინისათვის, სადაც „ის ამხელდა ახალი მტარვლების დაუფერებელ უტიფრობას, ვითომ ქართველ მშრომელ ხალხს თვითონ შემოეყვანოს რუსის ურდოები თავის მიწა-წყალზე. წერილმა მოიარა მთელი პრესა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა“.

ვარლამ ჩერქეზიშვილს ძლიერი სურვილი ჰქონია დაენერა მე-მუარები, მაგრამ ვერ მოუხსნია ამ სურვილის განხორციელება, არადა მან, როგორც არავინ, ბევრი რამ იცოდა არა მარტო რუსეთის იმპერიის, არამედ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე!.. მას ასევე სდომია საქართველოში დაბრუნება 1922-1925 წლებში, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო. კიდევ რომ ჩამოსულიყო, მას მაშინვე დააპატიმრებდნენ.

რამდენიმე ენის საუკეთესო მცოდნე ქართველს ქართული ენა

გადავინყებია, მაგრამ ავადმყოფობის უამს, სიკვდილის წინ, მშობლიური ენა იმდენად გახსენებია, რომ სხვა ენაზე აღარ ლაპარაკობდა, მათ შორის ქართულის არმცოდნე მეუღლესაც თარჯიმნის საშუალებით ესაუბრებოდა. ეს ამბავი, რომელიც შემდეგ მხატვრული პასაჟიც გახდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, პირველად აკაკი ჩხენკელმა ამცნო საზოგადოებას, ამ გამოსვლის დროს მან ჩერქეზიშვილის ძმისწულის სტუმრობასა და ვარლამის უეცარ „გაქართულებულ“ საუბარზე მოუთხრო დამსწრეთ, რამაც დიდი ემოცია გამოიწვია ემიგრანტ ქართველებში [7, 1-6].

აკაკი ჩხენკელი: სიტყვა პარიზის ქართული საზოგადოების კრებაზე 27 სექტემბერს, 1925 წელს.

ეს იყო ნისლიან შემოდგომას 1909 წ., ლონდონის ერთ უსუფთაო უბანში უაიტსეპლში, სადაც პირველდ შევხვდი ვარლამ ჩერქეზიშვილს: ის იქ მოსულიყო, როგორც მე, თავის მეგობარ კროპოტკინთან¹ ერთ-ერთ, რუსეთის ემიგრანტთა ერთ-ერთ კრებაზე. ორ თავად ანარქისტს, როგორც მათ ინგლისელები უწოდებდნენ, უფრო მეგობრულათ, ვინემ ირონიით, საპატიო ადგილი ეჭირათ კრებაზე. დამსწრეთა ყურადღება უფრო მათკენ იყო მიქცეული, ვინემ რუსეთიდან ახლად გამოქცეული სიპიაგინის² მკვლელ ახალგაზრდა კარპოვიჩისაკენ³.

დიდი განსხვავება იყო მათ შორის როგორც ტანადობით, ისე სახით და გამომეტყველებით. პატარა, გამხდარი, მოძრავი, მრგვალათ შემოკრეჭილი ქალარა წვერ-ულვაშით, ძალზე დანაოჭებული პირის კანით და მკვირცხლი თვალებით, ვარლამი ახდენდა ახალგაზრდა მოხუცის შთაბეჭდილებას. მე მაშინ ჯერ კიდევ არ მენახა კახეთი, თორემ უფრო ჩქარა გამოვიცნობდი მასში ამ მშვენიერი კუთხის შვილს.

¹ კროპოტკინი – პიოტრ ალექსის ძე (1842-1921). რუსი რევოლუციონერ-ანარქისტი, მეცნიერი, გეოგრაფი და გეომორფოლოგი. ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, რუსეთში ანარქისტული იდეოლოგიის გამავრცელებელი. 1876-1917 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, 1917-ში, მონარქიის დაცემის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში.

² დიმიტრი სერგეის ძე სიპიაგინი (1853-1902), რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი 1899-1902 წწ. ესერების შეკვეთით მოკლა ესერმა ბალმაშოვმა.

³ კარპოვიჩი პიოტრ ვლადიმირის ძე (1874-1917), ტერორისტი, რსდმპ-ს წევრი. ჩხენკელს შესაძლოა ეშლებოდეს ფაქტი, რადგან კარპოვიჩმა განათლების მინისტრი ნ. პ. ბოგოლეპოვი (1846-1901) მოკლა და არა შინაგან საქმეთა მინისტრი – სიპიაგინი.

გათავდა მოხსენება, დაიწყეს დისკუსია,

და მე კიდევ ვგუშანობ, არ ვეცნაურები ვარლამს, არაფერია ისე ბუნებრივი, სტიქიური, თუ გნებავთ, ქართველების უცხოეთში შეხვედრის უმალ ერთმანეთთან გაცნობა, ერთი, ვარლამი კროპოტკინის გვერდით იჯდა, ორიც, – და ეს უმთავრესია, – ცოცხლათ წარმომიდგა ვარლამის ცხარე კამათი, კაუტუკისთან მარქს-კონსიდერანის ნაწერებზე, როცა ჯერ კიდევ ბერლინში ვიყავი, და მეკრძალებოდა, ვაითუ თავზე ცივი წყალი გადამასხას-მეთქი!

ვნახოთ, ვარლამი სიტყვას იღებს. ლაპარაკობს ცოტას, მიჯრით, ფიცხობს, მაგრამ ამ სივრცეში ადვილათ არჩევთ დიდ გრძნობას, სიტბოს. ვერ მოესწრო გათავება, რომ მე მის გვერდით გავჩნდი.

როგორ? თქვენ ლონდონში ხართ და მე არ მნახეთ, მიუტყევებელია! – მომმართა ვარლამმა, ჩაინერა მისამართი და მაშინვე წარუდგინა ჩემი თავი კროპოტკინს. უკანასკნელი თეთრი, გაბადრული წვერით, რომელიც მთლათ ფარავს მის მკერდს, ღიმილით მიწოდებს ხელს და თან აკვირვებს: ქართველი მე სულ სხვანაირი მყავდა წარმოდგენილი, ეს კი უფრო ჩვენს ძმასა ჰგავს!

მეორე დღეს ვარლამი უკვე ჩვენსას გაჩნდა მეუღლითურთ, გაუფრთხილებლათ, რასაკვირველია, ისე მოგვეპარა ორივე, როგორც კარგ ნათესავეებს. გამოგვეკითხეს, როგორ მოვენწყვეთ, რას ვაკეთებდით. ვერ ვასწრებდით პასუხს, რომ მყისვე ვიღებდით მათგან რჩევა-დარიგებას. გავათავეთ იმით, რომ მე ინგლისურის გაკვეთილები ვარლამის მეუღლესთან ამელო და ამისთვის კვირაში ორხელ მევლო მათთან. ამის შემდეგ ჩვენ ძალიან ხშირათ ვხვდებოდით ერთმანეთს, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. სანამ ლონდონს დავტოვებდით.

ამ გაკვეთილების დროს მე დავინახე, თუ რა დიდ განძს წარმოადგენდა ვარლამისთვის მისი შედარებით ახალგაზრდა მეუღლე. ტომით ჰოლანდიელი, ხოლო გულით ნამდვილი ქართველი, ის დიდ დახმარებას უწევდა ქმარს, ან უკეთ – მეგობარს სამწერლო ასპარეზზე. ჩინებულათ მცოდნე სამივე დიდი ევროპული ენის, ქ-ნ ფრიდას სწრაფათ გადაჰქოდა ქალაღზე ვარლამის ნაკარნახევი, და თან გზა და გზა შეჰქონდა მას თავისი წვლილიც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

მთავარ წყაროს არსებობისა ვარლამი იღებდა მაშინ შავი ქვის

მრენველთა საბჭოსაგან¹, რომელსაც ის აწოდებდა სახელდახელო ცნობებს მსოფლიო ბაზრის ფასებზე, და აგრეთვე ურდგენდა მას წლიდან წლამდე სტატისტიკურ კრებულს იმავე საგანზე. მე არ მი-
ნახავს, სამწუხაროთ, ვარლამი მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ჩალის ფასათ მიყიდა უცხოელებს ეს უმნიშვნელოვანესი დარგი ქართული მრენველობისა. მაქვს მხოლოდ წარმოდგენილი, თუ რა საშინელ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი მასზე. ზედმიწევნით მცოდნე ამ კითხვისა, სრულიად იჭვს გარეშეა, ვარლამი დიდ სამსხურს გაუ-
წევდა თავის ქვეყანას კალმით და სიტყვით, რათა ემხილა მოსკოვის ეს ნამდვილი შეთქმულება ქართველი ერის წინააღმდეგ.

ვარლამი დაბადებული პროპაგანდისტი იყო ქართული საქმისა უცხოეთში. მან იქ მოუპოვა საქართველოს მრავალი გულწრფელი მეგობარი, და ყოველ დალხინება-გაჭირვების დროს, ყოველ ამოძა-
ხილზე საქართველოდან ის უზვად სარგებლობდა მეგობრების თა-
ნაგრძნობით და დახმარებით საქვეყნო საქმისთვის.

სრულიად განსაკუთრებული იყო ვარლამის მეგობრობა ქარ-
თველთა უანგარო მოამაგე და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორ-
დროპთან². ამ მეგობრობას, იმედია, უფრო მცოდნე აღმწერი აღმო-
უჩნდება. ვერ ავუვლი მხოლოდ გვერდს შოთას მთარგმნელის და-
საფლავებას, რომელსაც დავესწარი 1910 წლის ზამთარში სევე-
ნიკში (შვიდი მუხა), უორდროპების სოფელში. არ დამავინწყდება სუ-
რათი, როცა ვარლამი, რაღაც უზენაესი მოვალეობის მოხდით, უშ-
ვებდა განსვენებულის საფლავში ჩვენს გვირგვინს. მარჯორის თვი-
თონ დაუბარებია ანდერძად, თუ ვინიცობაა ქართველებმა მოიტა-
ნონ გვირგვინი, საფლავში ჩამატანეთო.

ვარლამი, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ნამდვილი პიონერი იყო ჩვენი საქმისა უცხოეთში. მან დააყენა იქ პირველათ ჩვენი სა-
კითხი პოლიტიკურათ: მე ვგულისხმობ პეტიციას, ქართველი ერის

¹ შავი ქვის მრენველთა საბჭო, – დაარსდა 1896 წელს, მისი თავ-
მჯდომარე იყო გიორგი ზდანოვიჩი, მოადგილე კიტა აბაშიძე.

² ოლივერ და მარჯორი უორდროპები – ინგლისელი ქართველო-
ლოგები, საქართველოს მეგობრები (ოლივერ უორდროპი – (1864-
1948. მარჯორი უორდროპი – 1869-1909). მარჯორი უორდროპი
1909 წლის 7 დეკემბერს ბუქარესტში გარდაიცვალა. ის გადაასვენ-
ნეს და დაკრძალეს მშობლიურ სევენიკში. დაკრძალვის დროში ან
მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, ანდა დაკრძალვა მოგვიანებით
მოხდა.

სახელით წარდგენილს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე 1907 წ. ვარლამს უყვარდა ხოლმე ამ პოლიტიკურ ნაბიჯზე ლაპარაკი. ის მომითხრობდა, რა დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდათ მას და მის მეგობრებს, მეფის რეჟიმის დროს, რამდენსამე ათას ქართველის ხელმომწერის შეგროვება სამშობლოში და მისი იქიდან არალეგალურათ გადმოტანა უცხოეთში. ის დასძენდა, რომ მათ არ წარუდგენიათ ხელმომწერთა ვინაობა კონფერენციისათვის, იყო მხოლოდ ნათქვამი თვით პეტიციის ქვეშ, რომ სია ინახება სანდო ადგილას და წარდგენილი იქნება იმ პირობით, თუ მეფის ჟანდარმები ჯავრს არ იყრიან ხელმომწერებზეო. ვარლამი ხომ მთელის თავისი წარსულით უებრო კონსპირატორი იყო! არც ის ავინყდებოდა მას, რომ როგორც ცნობილი ანარქისტი, განაძევები იყო არაერთხელ ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორეში, უხერხული იყო პეტიციის პირადათ მის მიერ წარდგენა, ამიტომ ეს შეასრულეს სხვებმა.

ერთს მშვენიერ დღეს, – მიაბობდა ვარლამი ღიმილით, როცა სხდომა გაიხსნა, კონფერენციის ყველა დელეგატებს, მათ შორის მეფის დელეგატს და თავმჯდომარეს, პეტიცია წინ მაგიდაზე ედოთ! ამ ფაქტმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და გამოხმაურება ჰპოვა პრესაში, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ნიკოლოზის გავლენას, რომელიც იყო მომწვევი თვით კონფერენციისა, პეტიციას განხილვა არ ღირსებია.

აქ საჭიროა ითქვას ორიოდ სიტყვა პეტიციის შინაარსზე, სავესები დაყრდნობილი იმ ტრაქტატზე, რომელიც ერეკლე მეორემ და ეკატერინე მეორემ დადეს 1783 წელს. ხშირათ მსმენია, უმეტესათ ირონიით, ვარლამი ტრაქტატის ფანატიკოსი იყოო. ეს მართალია. ვარლამი თვითონაც სწერდა და სხვებსაც სულ იმას ჩასჩიჩინებდა, ხშირათ უშედეგოთ, სამწუხაროთ, არ დაევიწყნათ ტრაქტატის გამოყენება, ეს ისტორიული დოკუმენტი ერის უფლებების დაცვის დროს. დღეს, ვფიქრობ, ამდენი ამბების მოწმენი, არ ვსაჭიროებთ იმის მტკიცებას, რომ ვარლამი უაღრესათ მართალი იყო. ჩაგვიჩინებდა იმიტომ, რომ ხედავდა, რა უდარდელათ, მეტი რომ არ ვსთქვა, ვექცეოდით ჩვენს წარსულს საზოგადოთ და ამ დოკუმენტს კერძოთ. მაგრამ ეს არ იყო უმთავრესი. ანარქისტ ვარლამს, ჯერ კიდევ პიროვნების უსაზღვრო თავისუფლების მოციქულს, კარგად ესმოდა ახალი პრინციპის – ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობა, და ამ საანბანო რამის სწვლება მას არ ეჭირვებოდა. ის გრძნობდა მეორეს – როცა ახალი ქვეყანა, რომელზედაც არაფერი გაეგონათ

მანამდის და არც კი იციან სად უნდა ეძიონ ის, – აზიაში თუ ამერიკაში, როცა ასეთი ქვეყანა მოითხოვს მისი უფლების ცნობას, რამდენათ ძნელია და უკმარისი მარტო თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობა? ეს პრინციპი ხომ ზოგადია და განუყენებელი და ამიტომ ვერ ახდენს უცხოელზე ერის ცოცხალ, ხორცშესხმულ ტანჯვისა და მისწრაფების შთაბეჭდილებას. მართალია, უისტორიოდ ერებმაც მიაღწიეს დამოუკიდებლობას, მაგრამ რამდენი ცდა დასჭირდათ მათ ამისათვის, ვთქვათ, ფინლანდიასთან შედარებით? და ჩვენი ისტორიული უფლება ხომ უფრო დასაბუთებულია, ვინემ ფინების. განა ამ ცდის, დაგვიანებული ცნობის მსხვერპლი არ გავხდით თვითონ ჩვენ?

ადვილათ წარმოსადგენია, რამდენათ აუცილებელი იყო ვარლამისათვის ტრაქტატის მომარჯვება მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა არამცთუ დამოუკიდებელი არსებობა, თვით სიტყვა საქართველოს კონვერტზე წარწერაც აღკვეთილი იყო! ვარლამმა კარგათ იცოდა უცხოელის ფსიქოლოგია. მარტო ის ფაქტი, რომ დიდათ წოდებულმა ეკატერინემ საერთაშორისო ხელშეკრულება დადო ერეკლესთან, სულ სხვა ელფერს სდებდა საქართველოს საკითხს, მის წარსულსა და აწმყოს.

მაგრამ ვარლამის მოღვაწეობა მარტო ამაში როდი მდგომარეობდა, ის აცნობდა უცხოეთს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ხელოვნებას, რამდენათაც ეს მარტოხელა და ღარიბ ემიგრანტისთვის მისაწვდომი იყო. ის ჩვენი ლონდონში ყოფნის დროს, სისტემატიურათ თანამშრომლობდა ნიუ-იორკის ერთ დიდ გაზეთში და ხშირათ გვიჩვენებდა მის ფურცლებზე წერილებს საქართველოს შესახებ, რომელსაც ზედ დართული ჰქონდა ჩვენი დაბა-ქალაქების, ციხე-მონასტრების ტიპების ნახატები.

მეორეს მხრით, აღსანიშნავია, ვარლამის მოკლე და ცოცხალი წერილები „რედაქციისადმი“, რომელიც დრო და დრო თავსდებოდა დიდ გაზეთებში, როგორცაა „ტაიმსი“, „მანჩესტერ გარდიან“ და სხვ. ინგლისში წერილები რედაქციისადმი პუბლიცისტიკის ცალკე დარგს ეკუთვნის. ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე ცნობილი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი და ასეთი წერილები დიდ ყურადღებას იპყრობს. ვარლამიც ასე იქცეოდა, როგორც ვსთქვი, და არც ერთი რედაქცია არ შეკადრებდა მას განზილებას, ისე პატივისცემი იყო მისი სახელი.

არ იყო ისეთი შემთხვევა, ისეთი ფაქტი, რომ ვარლამს არ გა-

მოყენებია მაშინვე თავისი პროპანდისათვის, საილუსტრაციოთ
ორიოდე პატარა ეპიზოდი:

გავიხედოთ, ვარლამმა კარზე მოგვაყენა ერთი უცნობი ინგლი-
სელი, პატარა ყდიანი ნიგნით ხელში. – უეცრათ მომაგონდა, – მე-
უბნება ვარლამი, – რომ თქვენ მეგრული იცით და ეს მეცნიერი
იმიტომ მოვიყვანე, რომ დაგვეხმაროთ ამ ნიგნის შინაარსის გაგება-
ში. ნაიკითხეს ნარჩევი ადგილები, დანერილი ინგლისური ასოებით,
ხოლო სიტყვები, თუ მეხსიერება არ მალატობს, ხეთური იყო, და
ეკუთვნოდა ასურეთის ერთ-ერთ მეფეს, რომელიც მოგვითხრობდა
მის ომებზე, თუ როგორ მოსრა და გაანადგურა მან ხეთელთა ხალ-
ხი. დაუფგდე ყური და ჩემს გაცვებას საზღვარი არ ჰქონდა: მომეს-
მა ბევრი მეგრული სიტყვა, თვით ფრაზების კონსტრუქციაში თით-
ქოს მსგავსება ვიგრძენი. ვარლამს ცრემლი მოადგა თვალზე სიხა-
რულისაგან, როცა ვუთარგმნიდი მეგრულიდან. ის გაეშურა თავის
ფრიდასთან, რომ ეხარებინა ეს ამბავი და მერე ხომ მეგობრებსაც
მოსდო იგი.

ჩამოდის ერთი ქართველი და ჩამოაქვს ჩვენებური შალის ნი-
მუშები. ვარლამი დაფაცურდა, შემოგვარბენია ბევრი მალაზია, კო-
ოპერატივის ცენტრალურ დანესებულებებშიც ვიყავით, მთელი უბა-
ნი რომ უჭირავს. აღმოჩნდა, რომ ინგლისის მდიდრები, უფრო კი
არისტოკრატები, ხელით ნაქსოვ შალს იკერავენ ტანსაცმლათ.
ჩვენს თანამემამულეს უთხრეს, ჩამოიტანეთ რამდენიც შეგიძლიათ,
ნარდათ ვიყიდითო. ვარლამი გახარებულია, არა იმისთვის, რასაკ-
ვირველია, რამეს რომ გამოიჩინოს, არამედ მას შეეძინა ახალი საბუ-
თი ქართულ შინამრეწველობის საილუსტრაციოთ.

ცოტა დააკლდა, ვარლამმა ლამის მეჯაგრედ გამხადა! მას გაე-
გონა ერთ მის ინგლისელ მეგობარ ჩოთქების ფაბრიკანტისაგან,
რომ კავკასიის ჯაგარი მთელს დუნიაზე პირველიაო. რა შუაშია
კავკასია, – შეკამათებია მას ვარლამი, – იქ ხომ ქართველების გარ-
და მაჰმადიანებია, ლორიც არა ჰყავთ, ეს უეჭველი ქრთული ჯაგა-
რიაო. მიმინვიეს ექსპერტად და, რა თქმა უნდა, ვარლამს დავუჭირე
მხარი, აბა ამას როგორ დავამადლებდი! სწორეთ ამ დროს ჩვენ
სამშობლოში ვბრუნდებოდით, მივიღე დაკვეთა და ბეც ფაბრიკან-
ტისაგან. გვიან გამოვგზავნე ფუთამდე ქართული ჯაგარი და ვარ-
ლამმაც დაამტკიცა თავისი თეზა, მაგრამ მე ვერ ვანარმოვე საქმე:
როგორც კარგი ქართველი, ცუდი ვაჭარი გამოვდექი!

ვარლამი თავისი ერის ნამდვილი მოჭირნახულე იყო. მისი

მგრძნობიარე აგებულება მთლად ალიგზნებოდა ხოლმე ქართველთა როგორც ჭირის, ისე ლხინის გაგონებაზე. მრავალი და მრავალი წლობით სამშობლოსგან დაშორება მას გულს უკლავდა. ამიტომ, როგორც კი დადგა 1905 და 1906 წლები, ის მიექანება იქითკენ და იღებს მონანლეობას მოძრაობაში. მას თან ახლდა ქალბატონ ფრიდას გარდა, ჩვენი დიდი მეგობარი, ტომით ირლანდიელი ქალბატონი დრაიჰორსტი, რომელიც ჩამოატარა მთელს საქართველოში, ამავე დროს ის გზავნის საყურადღებო კორესპონდენციებს ინგლის-ამერიკის გაზეთებში.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ, ის ისევ გარბის ინგლისში და ცეცხლს აფრქვევს მტარვალთა წინააღმდეგ, რომელთაც ააოხრეს დასავლეთი საქართველო, აარსებს ქართველ ქალთა მეგობრობის საზოგადოებას და აგროვებს ფულს უმწეოდ დარჩენილი ჩვენი ქვრივ-ობლებისათვის. უფრო გვიან ის აარსებს ქართულ კომიტეტს (ჯორჯიან კომიტო) ბატონ მორაისის და ქალბ. დრაიჰორსტის მეთაურობით. ვინ მოსთვლის, რამდენი მუშაობა არ გაუწევია ამ კომიტეტს: არ დარჩენილა არცერთი გამოცემა, არცერთი დაწესებულება, არცერთი ცნობილი პიროვნება, ვისაც არ მისწვდომია მისი ხმა, სულის ჩამდგმელნი, ასე ვსთქვათ კულისებში, იგივე ვარლამი და ქალბატონი ფრიდა იყვნენ. ბოლოს, როგორც ვიცი, ვარლამის სიკვდილის წინ, მათვე გადააკეთეს ეს კომიტეტი ქართველთა მეგობრების ფართე საზოგადოებად და მასში შედის ბევრი ცნობილი ინგლისელი.

ვარლამი გაუსწორებელი ოპტიმისტი იყო. არ შემხვედრია ერთი ქართველიც, ვისაც ისე სწამდა საქართველოს მომავალი, როგორც მას. ეს იყო არა მარტო რწმენა, არამედ სარწმუნოებაც მისთვის. მაგრამ მომავალიც არის და მომავალიც. ვარლამი მასში გულისხმობდა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს. და ეს სარწმუნოება ათბობდა მის კეთილშობილურ გულს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ბედისწერად ვთვლიდით რუსეთის ფარგლებში ყოფნას. არ დამავინყდება ერთი გრძელი და ცხარე კამათი ვარლამთან. ქ-ბ ფრიდა თავაზიანად მთხოვდა მეორე დღეს, ასეთი რამ არ განმეორებულყო: კიდევ ერთი ასეთი კამათი და ვარლამი გადაყვებაო, – მიხსნიდა ის. ვარლამის დებულება მდგომარეობდა შემდეგში: რუსეთის იმპერია ჩქარა ისე დაინგრევა (კამათი იყო 1910 წ.), როგორც ძველი რომის იმპერია და მაშინ საქართველო განთავისუფლდებაო. მე ეს არ დავიჯერე, ან უკეთ, – ვერ დავიჯერე, და აი რამ არია მო-

ნასტერი. დამავინყდა უბრალო უფროს-უმცროსობაც, ვიმაღლებდი ხმას, ვაწყვეტინებდი. ვარლამიც ჩემზე მეტად ცხარობდა, მაგრამ მას ეს შვენოდა. მისი ბრალიც იყო! ის ისეთი გულწრფელი და თავმდაბალი ვინმე იყო, რომ ბაღსაც კი გამოეკამათებოდა. მეც ამან გამათამამა. მეორედ ვარლამი უკვე თავისუფალ საქართველოში ვნახე, 1920 წელს. შეხვედრის უმაღლესი თვალი თვალს გაუწყარეთ და თავში ლონდონის კამათმა გაგვიელვა, ენა კი არ დაგვიძრავს, მე ვარლამის სახეში ვკითხულობდი გამარჯვებას, ის კი ჩემსაში – დამარცხებას...

მამა დავითის აღმართზე თქვენ დაინახავდით ერთ სოფლურ ქვითკირის ოდას, მეორე სართულზე მიმავალი კიბე ფრთხილათ უნდა აგველოთ, რომ არ დამტვრეულიყავით, და იქ იხილავდით ვარლამს და ფრიდას ორ ოთახში, მთელს სართულში მეტი არც იყო. ესეც ნათესავს უთხოვებია მათთვის. მეტად უჭირდათ მათ ყოველ დღე ქალაქში დაშვება და ამოსვლა. ისინი ხომ აქაც თავისი შრომით ირჩენდნენ თავს, თან სადილიც დაბლა უნდა ეჭამათ. ბევრი ეცადენ ბინის გამოცვლას, მეგობრებიც ეხმარებოდნენ, ვერას გახდენ; ვარლამი შერჩა თავის ოდას სამშობლოს დამხოვის შემდეგაც მთელი ერთი წელი. ასე გაუმასპინძლდა ვარლამს თავისუფალი საქართველო! ცხოვრობდა გაცილებით უარესათ, ვინემ ლონდონში. მიუხედავად ამისა, ვერ გაიგონებდი მისი პირიდან საყვედურს ვისმეს ან რასმეს მიმართ. მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება მმართველებზე მასზე არ მოქმედებდა. არაფერია, – მითხრა მან ერთხელ, ახალი სახელმწიფოა, ჯერ გამოუცდელი არიან, უნდა მოვითმინოთ, თავი და თავია გარეშე მტერმა არ გაგვსრისოს, თუ ამას გადავურჩით, თანდათან გამოსწორდება ყველაფერიო.

1922 წ. გენუაში ვიყავით, როცა ევროპაში ახლათ დაბრუნებულ ვარლამისაგან მუქარა წერილი მივიღეთ ჩიჩერინისადმი¹ მიმართული. აქ ის ამხელდა ახალი მტარვალების დაუჯერებელ უტიფრობას, ვითომ ქართველ მშრომელ ხალხს თვითონ შემოეყვანოს რუსის ურდოები თავის მიწა-წყალზე. წერილმა მოიარა მთელი პრესა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ერთი თვე დაჰყო ვარლამმა პარიზში

¹ ჩიჩერინი – გიორგი ჩიჩერინი (1872 – 1936) – რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, მუსიკათმცოდნე, ლიტერატორი და კრიტიკოსი. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

და შემდეგ ისევ ლონდონში გადავიდა საცხოვრებლათ. მას ოდნავადაც არ გასტეხია გული, მისი იმედები ეხლა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ოდესმე. მუშაობდა დაულალავათ თავის საყვარელ საქმისთვის. ერთხელ მან განმიცხადა, რომ ფიქრობს საქართველოში წასვლას, დეე, რაც უნდათ, მიყონ, ერთი გული მოვიჯერო მათი საჯარო გამათრახებითო. მაგრამ მას უკვე ეტყობოდა სახეზე, რომ ამას ვერ შესძლებდა ფიზიკურათ, იმდენათ მოქანცული და დაავადებული იყო ის.

მე არაფერი მითქვამს ვარლამის რევოლუციურ წარსულზე რუსეთში, მის მონანილეობაზე ევროპის მუშათა კლასის პოლიტიკურ და სინდიკატურ მოძრაობაში. ეს არ შედიოდა ჩემს თემაში. არც საკმარისი მასალა მაქვს ამისათვის. ერთი კი ვიცი: ვარლამი მოარული არაკი იყო, შეეძლო მთელი საათები ეამბნა საკუთარ და ბევრ სხვა ცნობილ პირთა თავგადასავალზე. უკანასკნელათ ის ხშირათ დააპირებდა ხოლმე მოგონებათა წერას, მაგრამ ვერ იცლიდა. ამ რიგათ, ეს მდიდარი არქივიც თან გაჰყვა მას.

ვარლამი იდეის კაცი იყო. სწამდა მისი სიდიადე და საბოლოოთ გამარჯვება – აქედან მოდიოდა მისი ენთუზიაზმი და თავდადება. მასში ჰარმონიულათ იყო ჩაქსოვილი საკაცობრიო და ეროვნული იდეალები, მისი გული სძგერდა ყველასა და თვითუელის ბედნიერებისათვის. რამდენად მისაბაძია ის ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელსაც არა იშვიათი ეგოიზმი ასულდგმულებს და აბუჩათ იგდებს იდეისთვის აღტყინებას.

არაჩვეულებრივი იყო ვარლამის სიკვდილი, ისე როგორც მთელი მისი ცხოვრება. მან ენა აიდგა! საქმე იმაშია, რომ ვარლამი ბავშვობიდან რუსეთში იზრდებოდა, არ ეხერხებოდა ქართული, თუმცა, ესმოდა და სწერდა კიდევ. გუშინნინ ჩემთან იყო ეკა ჩერქეზიშვილი, ვარლამის ძმისწული, მან გადმომცა, რომ ვარლამი სიკვდილის წინ მარტო ქართულათ და ისიც გასაოცრად წმინდათ ლაპარაკობდაო; თვით ბიცოლა ფრიდასაც არ ელაპარაკებოდა სხვა ენაზეო და მე მიხდებოდა მისთვის თარგმნაო. ვარლამი, იმავე ეკას გადმოცემით, თავს საქართველოში გრძნობდა, ებასებოდა თურმე იქ დარჩენილ მეგობრებს, იგონებდა ბავშვობას, ერთი სიტყვით, ოცნებაში სცურავდა.

ერთ ჩემს წერილში მე ვანუგეშებდი ქ-ბ ფრიდას, რომ მაღლიერი და თავისუფალი საქართველო არ დასტოვებს ძვირფას ვარლამის ნეშტს უცხოეთში-მეთქი. ვარლამი დასწვეს, მხოლოდ ფერფლი-

ლა დაგვრჩა, რამდენად გაადვილებულია მისი გადატანა ჩვენში! ეგეც სიმბოლურია ჩვენთვის. ვარლამმა შესწირა მთელი თავისი არსება ქართველ ხალხს და სიკვდილის უამსაც იმაზე იზრუნა, რომ მას, ხალხს, არ გაძნელებოდა წმინდა მოვალეობის მოხდა დაუფინყარ მოჭირნახულეს მიმართ.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Иван Владимирович Аладышкин, На «окраине» общественно-политической жизни Российской империи (К истории становления анархо-индивидуализма в первое десятилетие XX века), Анархисты в России: история и современность, Вестник, СПбГУ, Санкт-Петербург, 2009.
2. Иван Владимирович Аладышкин, Анархо-индивидуализм в среде отечественной интеллигенции второй половины XIX – первой декады XX века (На материалах Москва и Санкт-Петербург), Иваново, 2006. <http://textarchive.ru/c-1520518-pall.html>.
3. ჩერქეზიშვილი ვარლამ, წიგნში: რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი, ქართველები უცხოეთში, წიგნი 1, თბილისი, 2012.
4. თამარ გვიანიშვილი, ქართველ ანარქისტთა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, თბილისი, 1990.
5. დიმიტრი შველიძე, მარქსიზმის კრიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომებში, თბილისი, 1997.
6. დიმიტრი შველიძე, აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! თბილისი, 2001.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 250.

Dodo Chumburidze
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist-researcher of the Department of modern and Contemporary History

Recollection of Akaki Chkhenkeli about Varlam Cherkezishvili

Summary

The article deals with a report by Akaki Chkhenkeli in Paris, where Chkhenkeli recalled his meetings with Georgian politician, Anarchist Varlam Cherkezishvili. The archive document is an autograph, which is written by black ink. This speech was made by Akaki Chkhenkeli on September 27, 1925, in front of the Georgian society in Paris due to the death of Cherkezishvili. Later, the author has been prepared this text to print in the Georgian magazine „Gushagi“, produced in Paris. To this purpose, the text was significantly reduced, which is confirmed by red pencil removed. We have brought the document in full, with the first option. This version of the text has never been published in the emigrant press. Chkhenkeli describes Varlam Cherkezishvili's person, his national spirit, endless love for his homeland in it.